საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 1819/1
07/02/2020

1819-1-2-202002071857

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია'' (შემდგომში „კომპანია") ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ახორციელებს „ანასეულის უბნის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაციის" პროექტს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ტექნოლოგიური სამუშაოების ჩატარების შედეგად, ანასეულის უბნის წყალმომარაგების მიზნით, წყალსადენის სათავე ნაგებობის მოწყობა გათვალისწინებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში, მდინარე აჭისწყლის პირველი ჭალისზედა ტერასაზე, რომელიც საჭიროებს ნაგებობის ნაპირდამცავი სამუშაოების განხორციელებას.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული პროექტი, წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს II დანართის მე-9 პუნქტის, 9.13 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, „ანასეულის უბნის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის ნაპირდაცვის სამუშაოების" დაკავშირებით მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

გთხოვთ, განიხილოთ დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

დანართი: 1. სკრინინგის დოკუმენტი.
2. სიტუაციური ნახაზი.
3. პროექტის ელექტრონული ფაილი.
4. პროექტის განმარტებითი ბარათი.

პატივისცემით,

ზაზა სიხარულიძე

დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში

საქართველო, ქ.თბილისი 0186
ვაჟა-ფშაველას გამ. 76ბ
ტელ: (99532) 2919060
ს/კ: 412670097

e-mail: info@water.gov.ge
www.water. gov.ge

76b, Vazha-Pshavela Ave.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (995 32) 2 91 90 60

ხელმძღვანელობა